



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-089/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.
„დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ დამკვირვებლის
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 28 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ ხელმძღვანელის მერი კაპანაძის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 28 აგვისტოს განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №2514) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ. „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 22 აგვისტოს №02-070/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - №27 მანანა ხუციშვილს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

